

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 27 აგვისტოს სხდომის

ოქმი N21

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 21

ქ. ხონი

27 აგვისტო 2018 წელი

2018 წლის 24 აგვისტოს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე სხდომას საკრებულოს 28 წევრიდან ესწრებოდა: კობა კუბლაშვილი, არსენ ბენდელიანი, ნანა ბახტაძე, ჯუნგლი გოდერიძე, ალიკო ვეკუა, ზაზა ვაშაკიძე, არჩილ საღარაძე, მაკა ტაბიძე, მათე ჩანქსელიანი, ოლეგი ვაჭარაძე, ტარიელ ბარაბაძე, თამაზი ცაგარეიშვილი, ლია ღაჭავაძე, ია სულუხია, ირაკლი ბახტაძე.

სხდომა დაიწყო: 15 საათზე.

სხდომა დასრულდა: 16 საათზე.

დღის წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლეილა კინწურაშვილი - მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი.

2. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N 33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე - მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი.

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე __ 16

წინააღმდეგი __ არცერთი

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების პროგრამის დამტკიცების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ლეილა კინწურაშვილი მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი.

საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N 33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ლევანი ჩიხლაძე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი.

საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N 33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

მიღებული დადგენილება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვლისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ვალერი ბახტაძე

სხდომის მდივანი:

შორენა ჩანქსელიანი

